ქ.ქუთაისის საპატიო და ღვაწლმოსილი მოქალაქეებისათვის
საჩუქრების შესაძენად, თანხის გამოყოფის შესახებ

მ/წლის 16 მაისს, დაგეგმილია ქ.ქუთაისის ღვაწლმოსილი და საპატიო მოქალაქეების ვენერა ძოწენიძისა და რევაზ კუტალაძისათვის სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლიდან გამოიყოს თანხა – 230 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და „თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქ.ქუთაისის საკრებულოს 2011 წლის 22 დეკემბრის N143 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ.ქუთაისის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /თ.თოფურიძე/ უზრუნველყოს თანხის გადარიცხვისათვის საჭირო საბუღალტრო დოკუმენტების გაფორმება და მერიის საფინანსო სამსახურში წარდგენა.

2. ქ.ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურმა /თ.ცაგარეიშვილი/ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში უზრუნველყოს თანხის – 230 /ორას ოცდაათი/ ლარის გადარიცხვა დანიშნულებისამებრ /ხარჯთაღრიცხვა ერთვის/.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა თ.თოფურიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი — გ.თევდორაძე

ქ.ქუთაისის მერის 2012წ.
N ბრძანების
დანართი

ქ.ქუთაისის საპატიო და ღვაწლმოსილი მოქალაქეებისათვის
საჩუქრების შესაძენად,  საჭირო თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ

1. ინდმეწარმე ,,მურთაზი ლეთოდიანი"
   ტელევიზორი ,,ფლატრონი" – 130 ლარი

2. შპს ,,დავითი 2010"
   ხატი – 100 ლარი

სულ: 230 ლარი

ქალაქ ქუთაისის მერი                                        გ.თევდორაძე